სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27ოქტომბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-08/810

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ტბელ აბუსელიძის
სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შოთა რუსთაველისა და ტბელ აბუსერიძის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ოქტომბრის №01-02/187 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე აროშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 ოქტომბრის N01-14/596 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სახელობითი სტიპენდიანტების გამოვლენის მიზნით ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ოქტომბრის №01-02/191 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2025 წლის 23-24 ოქტომბრის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებისა (ოქმი №1-2) და ამავე კომისიის თავმჯდომარის, რექტორის მოადგილის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით 2025 წლის 27 ოქტომბრის №1408915 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნოს** 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცეს ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) **ბსუ-ს 5 სტუდენტზე, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.**
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება თითოეული ფაკულტეტის მიერ დაეგზავნოს შესაბამის სტიპენდიანტ სტუდენტს (პერსონალური მონაცემების დაცვით) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი ქათამაძე

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 27 ოქტომბრის N01-08/810 ბრძანების

N1 დანართი

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **ტბელ აბუსელიძის სახელობითი სტიპენდია, თვეში 500 ლარის ოდენობით, დაენიშნა** 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 2026 წლის 1 მარტამდე პერიოდზე (სულ 5 თვე) **და გაიცემა ერთჯერადად 2500 ლარი** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით)
ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებზე:

	სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ბსუ-ს ფაკულტეტი	საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლების წელი
1	ირმა ჭიჭინაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი	განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
2	ნინო ჯაფარიძე		ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	ფინანსები და საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის
3	მარიამ ჭანკურიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
4	ხატია ლეონიძე		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი
5	მირანდა პაქსაძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი	ქიმიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი